სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

78996018266021

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210827180

რეგისტრაციის თარიღი

05.08.2021 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასოცდაერთი წლის ხუთ აგვისტოს, მე ნოტარიუსს ირმა გოგიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა 14 მომმართა მოქალაქე - ნუგზარი ჯიღაურმა, რომელმაც განაცხადა, რომ, არის შპს „ზენი“-ს (ს/კ 208140377) დირექტორი და თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18094867, მომზადების თარიღი: 07/09/2018.

მან გამოხატა მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე ნუგზარი ჯიღაურის (დაბ: 12.04.1946 წელს, პ/ნ#01013012938, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 3) პირადობა. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასოცდაერთი წლის ხუთ აგვისტოს, მე, ნუგზარი ჯიღაურმა (დაბ: 12.04.1946 წელს, პ/ნ#01013012938, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 3), როგორც შპს „ზენი“- ს (ს/კ 208140377) დირექტორმა, ზაალი ჯიღაურს (დაბ: 06.06.1989 წელს, პ/ნ #01027054655, საქართველოს მოქალაქის პასპორტი: 18AD83141, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 3) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. ზაალი ჯიღაური უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს „ზენი“-ს (ს/კ 208140377) დირექტორის წარმომადგენელი მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, დაგეგმარების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ტექნიკური აღრიცხვის არქივში, გამგეობაში, ეკონომიკის სამინისტროში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ლეგალიზაციის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ტექინვენტარიზაციის ბიუროს არქივში, ზედამხედველობის სამსახურში, სანოტარო ბიუროში, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში და ყველა სხვა კომპეტენტურ ორგანოში, რათა საზოგადოების საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე (სადაც არ უნდა მდებარეობდეს) აწარმოოს ექსპლუატაციაში მიღებასთან, პროექტის შედგენასთან, დამტკიცებასთან, მშენებლობის ნებართვასთან, შენობა-ნაგებობის აშენების/დაშენების/დემონტაჟის/რეკონსტრუქციის ნებართვის აღებასთან, პროექტის წარდგენასთან, ფასადის შეცვლასთან დაკავშირებული სამუშაოები. ჩაატაროს აზომვითი ნახაზი, დაარეგისტრიროს აზომვითი ნახაზი ნახაზის შესაბამისად, წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ჯარიმის გადახდასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, შენობების აშენებასთან, სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან და ამონაწერის აღებასთან, ნებისმიერი პროექტის შეტანასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებული საქმიანობა. შეადგინოს/გადააკეთოს პროექტი, შეიტანოს პროექტი, მოახდინოს ცვლილებების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, გაასწოროს ხარვეზი, შეუცვალოს სტატუსი, მიანიჭოს ნომერი. ჩემი სახელით წარადგინოს/აიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, აწარმოოს მოლაპარაკებები პროექტთან დაკავშირებით, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, რა დროსაც ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, შეიყვანოს კომუნიკაციები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზ/აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

2. მინდობილობა გაცემულია 10 (ათი) წლის ვადით, მესამე პირებზე გადაწდობის უფლების გარეშე.

3. მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო 2 (ორი) გადაეცა მინდობილობის გამცემს, მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.)39-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი ირმა გოგია